პროექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №------

2024 წლის „__“ „ _____"

ქ. ოზურგეთი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილის, ასევე 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-20 მუხლის საფუძველზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ადგენს:

მუხლი1. შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N32 დადგენილებაში **(ვებგვერდი 08/07/2022წ, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250010.35.113.016481)** და დადგენილებით დამტკიცებული წესის :

სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესისა, ნასყიდობის ხელშეკრულების და სარგებლობის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ“

მუხლი 1-ელი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

1. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესი, დანარათი N1-ის შესაბამისად.

2. დამტკიცდეს უპირობო აუქციონის ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმა, დანართი №2-ის შესაბამისად.

3. დამტკიცდეს პირობებიანი აუქციონის ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმა, დანართი №3-ის შესაბამისად.

4.დამტკიცდეს სარგებლობის ხელშეკრულების ფორმები (იჯარა, უზუფრუქტი, სერვიტუტი, აღნაგობა) დანართი №4-ის შესაბამისად.

ასევე „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ „ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N32 დადგენილებაში დანართი 1-ის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი 1 „მუხლი 3. ქონების სააუქციონოდ მომზადება გულისხმობს:

ა) მუნიციპალიტეტის ინტერესების გათვალისწინებით ქონების შერჩევას;

ბ) ქონების აზომვასა და რეგისტრაციას;

გ) საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და გეგმის პროექტების მომზადება და წარდგენა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის;

დ) სხვა აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.

მუხლი 2.დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია